საქართველოს უზენაესი სასამართლო

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

№ბს-1043-625-კ-05 28 ნოემბერი, 2005, ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა**
**შემადგენლობა:**

**კონსტანტინე კუბლაშვილი** (თავმჯდომარე),
**მიხეილ გოგიშვილი,**
**მაია ვაჩაძე,**
**ნუგზარ სხირტლაძე,**
**ნანა კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),**
**გიორგი ქავჯაია,**
**ბესიკ კობერიძე,**
**როზა ნადირიანი,**
**თეიმურაზ თოდრია**

**განხილვის ფორმა** – ზეპირი განხილვის გარეშე
**კასატორი (მოპასუხე)** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი, წარმომადგენელი ო. ჩ.-ძე
**მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე)** – ჯ. ჭ.-ძე
**დავის საგანი** – სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება
**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი  ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპატამენტის 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანებით, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, რეგიონალური საბაჟო ,,...-ის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად სამუშაოდან დაითხოვეს საბაჟო გამშვები პუნქტი ,,...ის“ ინსპექტორი ჯ. ჭ.-ძე.

2005 წლის 21 იანვარს ჯ. ჭ.-ემ სარჩელი აღძრა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში საბაჟო დეპარტამენტის მიმართ და შემდეგი მოტივით მოითხოვა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების არაკანონიერად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება:

მოსარჩელის აზრით, მისი სამუშაოდან დათხოვნა უკანონოა და იგი აღდგენილ უნდა იქნეს გამშვები პუნქტი ,,...ის“ ინსპექტორის თანამდებობაზე, ვინაიდან მისი სამუშაოდან დათხოვნის დროს საბაჟო დეპარტამენტმა არ დაიცვა ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა სხვა თანამდებობაზე გადასვლის შეთავაზების შესახებ. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მან წერილობით თანხმობა განაცხადა სხვა თანამდებობაზე გადაყვანაზე, რაც არ გაითვალისწინა ადმინისტრაციამ, რის გამოც მისი სამუშაოდან დათხოვნა უკანონოა და იგი აღდგენილი უნდა იქნეს დაკავებულ თანამდებობაზე.

მოწინააღმდეგე მხარის, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელმა სარჩელი, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, რადგან ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 2 დეკემბრის №775 ბრძანებით დამტკიცებული რეგიონალური საბაჟო ,,...-ის“ საშტატო ნუსხის შესაბამისად, საბაჟო გამშვებ პუნქტ ,,...-ში“ განხორციელებულ რეორგანიზაციას თან ახლდა შტატების შემცირება 20 ერთეულით. ჯ. ჭ...-ძე სხვა თანამშრომლებთან ერთად ერთი თვით ადრე გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ. ამიტომ მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება კანონიერია და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ჭ...ძის სარჩელი დაკმაყოფილდა. უკანონოდ იქნა ცნობილი საბაჟო დეპარტამენტის 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანება ჯ. ჭ...-ის გათავისუფლების ნაწილში და მოსარჩელე აღდგენილ იქნა რეგიონალური საბაჟო ,,...ის“ საბაჟო-გამშვები პუნქტი ,,...-ის“ ინსპექტორის თანამდებობაზე, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა საბაჟო დეპარტამენტის მიერ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით საბაჟო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ჭ.-ის სარჩელი სადავო ბრძანების უკანონოდ ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა სრულად.

სააპელაციო სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან დათხოვნა სტრუქტურული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით, ვინაიდან საბაჟო დეპარტამენტს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებია სხვა თანამდებობაზე გადასვლა, რაც

კანონის იმპერატიული მოთხოვნის უხეში დარღვევაა და მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საფუძველია. ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ასევე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის პერიოდში იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საბაჟო დეპარტამენტის მიერ, რომელიც შემდეგი მოტივით ითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით ჯ. ჭ.-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას:

კასატორის მითითებით, რეგიორნალურ საბაჟო „...“ განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ადგილი ჰქონდა შტატების შემცირებას. კონკრეტულად საბაჟო-გამშვები პუნქტი „...-ის“ საშტატო რაოდენობა 20 ერთეულით შემცირდა. შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ, მოსარჩელე სხვა თანამშრომლებთან ერთად გაფრთხილებული იყო ერთი თვით ადრე, თანახმად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლისა, რის შემდეგაც ჯ. ჭ.-ე კანონიერად იქნა დათხოვნილი სამუშაოდან შტატების შემცირების მოტივით, ამავე კანონის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

კასატორის აზრით, კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა სხვა თანამდებობის შეთავაზების შესახებ წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას, როცა დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა სხვა თანამდებობის შეთავაზების, საბაჟო-გამშვებ პუნქტ „...“ კი ასეთი შესაძლებლობა ადმინისტრაციას არ გააჩნდა საშტატო რაოდენობის 20 ერთეულით შემცირების გამო. ამიტომ ამ შემთხვევაში მათზე კანონის აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება და ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან დათხოვნის დროს კანონმდებლობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მოწინააღმდეგე მხარე ჯ. ჭ.-მ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ ცნო, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, საქმე განსახილველად გადაეცა უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე მნიშვნელოვანი იყო სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით და საჭირო იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების განმარტება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა შეამცირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, კასატორმა უარი თქვა საკასაციო საჩივარზე ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში მოითხოვა საკასაციო წარმოების შეწყვეტა. ამასთან, კასატორმა წარმოადგინა 2005 წლის 9 სექტემბრის №529-კ ბრძანება, რომლითაც საბაჟო დეპარტამენტმა ბათილად ცნო 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანება ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან დათხოვნის ნაწილში და იგი აღადგინა რეგიონალური საბაჟო დასავლეთის გამშვებ პუნქტ „სარფის“ ინსპექტორის თანამდებობაზე.

## ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო  ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და კასატორის შუამდგომლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით განიმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანებები, მართალია, შეიცავდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ელემენტებს, მაგრამ, რადგან სამართლებრივი შედეგი იყო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, ამიტომ მათი კანონიერების შესახებ დავები კომპლექსურად, ერთიანობაში უნდა ყოფილიყო განხილული, როგორც ადმინისტრაციული გარიგების შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები. შესაბამისად, დავის განხილვისას სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის - „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“ ნორმებით და სასამართლოს უნდა ემსჯელა ადმინისტრაციული გარიგების შეწყვეტის კანონიერებაზე.

2005 წლის 15 ივლისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი - „ადმინისტრაციული გარიგება“ და მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი შეიცვალა „ადმინისტრაციული ხელშეკრულებით“, რაც სამართლებრივად არსებითად განსხვავდება ადმინისტრაციული გარიგებისგან. ამასთან, შესაბამისი ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლში, რომელსაც დაემატა $2^1$ და $2^2$ პუნქტები, რომელთა მიხედვითაც სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული სამართლებრივი აქტების (ბრძანების, განკარგულების) გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან და სარჩელის წარდგენა სასამართლოში არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

ამრიგად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის დამატებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავის და მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ცვლილებების გათვალისწინებით, მკაფიოდ განიმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (ბრძანება) არის ადმინისტრაციული აქტი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და IV თავით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ჯ. ჭ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. არაკანონიერად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს საბაჟო დეპატამენტის 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანება ჯ. ჭ.-ის ნაწილში და მოსარჩელე აღდგენილ იქნა რეგიონალური საბაჟო "დასავლეთის" გამშვებ პუნქტ „სარფის" ინსპექტორის თანამდებობაზე. მოსარჩელეს ასევე აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა შეამცირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, უარი თქვა საკასაციო საჩივარზე ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში მოითხოვა საკასაციო წარმოების შეწყვეტა. კასატორმა წარმოადგინა 2005 წლის 9 სექტემბრის №529-კ ბრძანება, რომლითაც სადავო ადმინისტრაციული აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ისე, რომ სასამართლოს არ დაუდგენია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, თავად ცნო ბათილად 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანება ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან დათხოვნის ნაწილში და იგი აღადგინა რეგიონალური საბაჟო „..." გამშვებ პუნქტ „..." ინსპექტორის თანამდებობაზე, რითაც კასატორი ფაქტობრივად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე, რომლის კანონიერებასაც დიდი პალატაც სრულად იზიარებს, რადგან საბაჟო დეპარტამენტმა მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნის დროს არ დაიცვა „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა გათავისუფლებამდე მუშაკისათვის სხვა სამუშაოს შეთავაზების შესახებ. ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ჯ. ჭ.-ის სამუშაოდან დათხოვნის დროს ადმინისტრაციას „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-14 და შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ასევე არ გამოუკვლევია, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება. ამდენად, 2005 წლის 9 სექტემბრის №529-კ ბრძანების გათვალისწინებით, საბაჟო დეპარტამენტის 2005 წლის 5 იანვრის №24-კ ბრძანების ნაწილში დავის საგანი საკასაციო საჩივრის განხილვის მომენტისათვის უკვე აღარ არსებობს.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, მაგრამ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დისპოზიციურობის პრინციპი გარკვეულწილად შეზღუდულია და ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს საქმის მორიგებით დამთავრების, სარჩელზე უარის თქმის ან სარჩელის ცნობის უფლება, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

განსახილველ შემთხვევაში კასატორმა საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ შემცირებით ცნო ჯ. ჭ.-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, რაც, დიდი პალატის აზრით, არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების სასამართლოს მიერ არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, უკანონოდ დათხოვნილი მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. ამიტომ საბაჟო დეპარტამენტის მიერ ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში საკასაციო საჩივარზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგება კანონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ კასატორის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ

საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 და 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა.

საბოლოოდ კასატორი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც დიდი პალატის აზრით, უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს გათავისუფლების უკანონოდ ცნობასთან და სამუშაოზე აღდგენასთან ერთად შეუძლია მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულ შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, რის გამოც დიდი პალატა თვლის, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ჯ. ჭ.-ის სარჩელი კანონიერია და სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობის მოტივით არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, რადგან მას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 410-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, შეწყდეს საკასაციო წარმოება ჯ. ჭ.-ის სამუშაოზე აღდგენის ნაწილში;

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

3. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.